დამტკიცებულია
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის 2023 წლის 10 მაისი ბრძანება N00004659
ცვლილება განხორციელდა
2023 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N0008860

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

მარნეული
2023

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში-პროგრამა) ჩარიცხვის წესი და პირობები (შემდგომში წესი) შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება N42/ნ -ისა და 2022 წლის 14 თებერვლის ბრძანება N 27/ნ ის საფუძველზე და ადგენს პროგრამაზე პირთა ჩარიცხვის პროცედურას.
2. ამ წესის მიზანია პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.
3. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზანია დეცენტრალიზებული, სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად კოლეჯი გამოყოფს კონსულტირებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ვალდებულია დაინტერესებულ პირს:
   ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;
   ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;
   გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.
   დ) გააცნოს კოლეჯში მომქმედი საგანამანათლებლო სერვისები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელების, დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი, პროგრამის განხორციელების ფორმა, დაფინანსების შესაძლებლობების) და სხვა.

2. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში და ამ მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის აღება.

მუხლი 3. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
   ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
   გ) შერჩევა;
   დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
   ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
   ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 4. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.
2. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს კოლეჯის მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია კოლეჯის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კოლეჯების და მათი პროგრამების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართვის სისტემისთვის მიწოდებული მონაცემები, რომლებიც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო ამავე სისტემაში კოლეჯების მიერ შევსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია თავად კოლეჯი.
4. მართვის სისტემა, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
5. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

   ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

   ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

   გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.
6. მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და განათავსებს სარეგისტრაციო სისტემაში.
7. კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში, მართვის სარეგისტრაციო სისტემაში აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად www.vet.emis.ge-ზე.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. ელექტრონული რეგისტრაციისას შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
5. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
6. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტაზე/ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.
7. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში.
8. მართვის სისტემა რეგისტრაციის პროცესში პირის იდენტიფიცირებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით.
9. მართვის სისტემა აპლიკანტის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას ამოწმებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.
10. რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
12. აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

მუხლი 6. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, ასევე შეიძლება განხორციელდეს რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.
4. პროფესიული სტუდენტები, რომლებიც შერჩევას გაივლიან რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე სწავლას დაიწყებენ ქართული ენის მოდულით.
5. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
6. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა)სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;
ბ)ისარგებლოს შიდა მობილობით კანონდებლობით დადგენილი წესით;
გ)ისარგებლოს გარე მობილობით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
დ)შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

მუხლი 7. შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გასაუბრება.
3. ტესტირებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ტესტირება.
4. .გასაუბრებას/ტესტირებას ატარებს კომისია, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.
5. კოლეჯის თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აპლიკანტთა შეფასების თარიღები და დრო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინიტრაციული სამართლებრივი აქტით, შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე;
6. აპლიკანტებს შეფასების თარიღებისა და დროის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე;
7. აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ კოლეჯის ვებ-გვერდის საშუალებით, ასევე შერჩევის დღეს შესარჩევი კომისიის მიერ.
8. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
9. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე;
10. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
    ა) ადმინისტრაციის თანამშრომელი;
    ბ) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი;
    გ) პროფესიული მასწავლებელი-დარგის სპეციალისტი
11. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.

12. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ;
13. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული. მინიმალური და მაქსიმალური კომპეტენციის ზღვარი, შეფასების ხანგრძლივობა და ფორმა თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
14. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და შეაქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ბაზაში.
15. ტესტირების შემთხვევაში ტესტირებისთვის განკუთვნილი საკითხების შემუშავება ხდება პროგრამების მიხედვით დარგის სპეციალისტის მიერ და არის კონფიდენციალური, შეფასება არის დიფერენცირებული და განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
16. ტესტირების ჩატარების პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
17. საგამოცდო კომისიის მიერ ხდება პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
18. . საგანამანათლებლო პროგრამებზე კონკურსის შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი;
19. აპლიკანტების ინფორმირება შეფასების შესახებ ხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (EMIS).
20. შერჩევის პროცესის დოკუმენტები ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.
21. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე.
22. განსხვავებულ ვადებში აპლიკანტისთვის შერჩევის დანიშვნის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი. რომლითაც განისაზღვრება საგამოცდო კომისიის შემადგენლობა, შერჩევის ჩატარების თარიღი და პირობები;
23. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს;
24. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
25. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (EMIS);
26. გასაუბრებაზე/ტესტირებაზე უარყოფითი პასუხის მიღების შემთხვევაში აპლიკანტი ან მისი წარმომადგენელი მიმართვას კოლეჯის დირექტორს განცხადებით არაუგვიანეს შედეგის გაგებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
27. დირექტორი გასაჩივრების თაობაზე განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს შემდგომი სამუშაო დღისა საჩივრის განხილვის და გადაწვეტილების მიღების მიზნით, გამოსცემს ბრძანებას სააპელაციო კომისიის შექმნის თაობაზე.
28. დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და საკითხის განხილვის ვადა.
29. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში დაუშვებელია შედიოდეს ის წევრი, ვინც მონაწილოებდა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების მიღებაში. სააპელაციო კომისია უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ კოლეჯის თანამშრომლების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისას.

30. სააპელაციო კომისია სამართლიანად და სრულყოფილად განიხილავს აპლიკანტის განაცხადს და შედეგების საფუძელზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს აპლიკანტის საჩივარზე.
31. სააპელაციომ კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არაუგვიანეს 2 დღისა და გადაწყვეტილებისთანავე უნდა ეცნობოს აპლიკანტს.
32. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
ა) აპლიკანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე;
ბ) მიღებული შედეგის ძალაში დატოვების თაობაზე.
33. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის ფორმაში და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (EMIS)-ში

მუხლი 8. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კოლეჯს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეუძლია განსაზღვროს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, შერჩევის დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:
ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას;
გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
ზ) კოლეჯის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თითოეულ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დადგენილ შერჩევის პერიოდში. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
4. კოლეჯი განსაზღვრული თარიღების შესახებ აპლიკანტს აცნობებს გონივრულ ვადაში მოკლეტექსტური შეტყობინების გაგზავნით ან ინფორმაციის განთავსებით კოლეჯის ოფიციალურ ვებ.გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესარჩევი და სააპელაციო კომისიების შემადგენლობაში კოლეჯის წარმომადგენლების გარდა უნდა შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციები.
6. შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და კოლეჯი განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.
7. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.

8. იმ შემთხვევში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
9. იმ შემთხვევში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ვერ ჩაირიცხება კოლეჯში.
10. მართვის სისტემა, შესაბამისი პროგრამისთვის რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
11. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
12. თუ პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია კოლეჯის შეფასება, საბოლოო შედეგის გაანგარიშების მიზნით, მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და კოლეჯის შეფასების შედეგების განათავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
13. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:
   ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
   ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.
14. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
15. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
16. მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
   ა) კოლეჯისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით.
   ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.
17. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში უნდა წარმოადგინოს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრული დოკუმენტები.

მუხლი 9. ტესტირებაში მონაწილეობის უფლება და ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

1. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომლისთვისაც, შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიური უნარებში.
3. ჩასაბარებელი ტესტების საგამოცდო პროგრამას, ცენტრის წარდგინებით, ამტკიცებს მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად, აკადემიური უნარების ტესტირება შეიძლება დაწესდეს:
   ა) წიგნიერებაში;
   ბ) რაოდენობრივ წიგნიერებაში;
   გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმიის კომპონენტი და/ან ფიზიკის კომპონენტი და/ან ბიოლოგიის კომპონენტი).
5. თუ სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროსთვის განისაზღვრა ტესტის რამდენიმე ტიპი, აპლიკანტი აბარებს ამ ტესტის ყველა ტიპს.
6. ტესტირების კოორდინაციას და ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში საგამოცდო ცენტრების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო.
7. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესის ადმინისტრირებას, საგამოცდო ცენტრების მიხედვით აპლიკანტთა განაწილებას შერჩეული საგამოცდო ცენტრების მიხედვით.

მუხლი 10. საგამოცდო ბარათი

1. თითოეულ აპლიკანტზე, რომელიც დარეგისტრირდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, რომელზეც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, სარეგისტრაციო სისტემაში გენერირდება საგამოცდო ბარათი.
2. საგამოცდო ბარათში მიეთითება აპლიკანტის შემდეგი პერსონალური მონაცემები – სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი და აპლიკანტის ფოტოსურათი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აპლიკანტის ფოტოსურათი ფიქსირდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ბარათში ასევე მიეთითება ის საგამოცდო ცენტრი, სადაც აპლიკანტი გაივლის ტესტირებას, ჩასაბარებელი ტესტი, ტესტირების ჩატარების თარიღები და ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

მუხლი 11. ტესტირების პროცესი

1. ტესტირების პროცესი (მათ შორის, ტესტირების მიმდინარეობასთან და ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები) რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად.
2. აპლიკანტმა ტესტირებაზე გასვლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან ამობეჭდილ საგამოცდო ბარათს.

მუხლი 12. შედეგები, შედეგების გამოცხადება

1. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე რეიტინგული სიის შედგენის მიზნით:
   ა) ცენტრი, ტესტირებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთა ტესტირების შედეგებს.
   ბ) კოლეჯი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით შერჩევისთვის განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის/აქტების საფუძველზე დადგენილი შერჩევის პერიოდის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მართვის სისტემა უზრუნველყოფს:
   ა) კოლეჯისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
   ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

მუხლი 13. კოლეჯში ჩარიცხვა

1. კოლეჯი აპლიკანტებს რიცხავს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. საბაზო პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:
   ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
   ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
3. საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
   ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება.
   ბ) 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

4. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს:

ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;

ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმას;

გ) დოკუმენტების წარდგენის ვადებს;

დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლებს;

ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს;

ვ) სხვა საკითხებს, კოლეჯის გადაწყვეტილებით.

5. აპლიკანტმა კოლეჯში ჩასარიცხად უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი (არასრულწლოვნების შემთხვევაში მშობლის/მეურვის პირადობის მოწმობის ასლიც);

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის საგანმანათლელო დოკუმენტის შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

დ) ფოტო 2 ცალი 3X4-ზე

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა არის აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

7. დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტს ეძლევა გარკვეული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ ხსენებულ დოკუმენტთა წარმოუდგენლობა შეიძლება გახდეს ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

9. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.

10. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.

11. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადეულ ადგილების რაოდენობას, კოლეჯს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.

12. კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

13. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან, მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, კოლეჯი დირექტორის ბრძანების საფუძველზე, აპლიკანტებს რიცხავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს მათთან სასწავლო ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს/მხარდამჭერს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 14. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, კოლეჯი ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ, მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრისთვის, კოლეჯი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს;
3. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს იმ აპლიკანტებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა.
5. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, გარდა იმ პროგრამებისა, რომლებზეც შერჩევა ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით, რეგისტრაციის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.
6. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომლისთვისაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, არჩევის უფლება აქვს იმ აპლიკანტს, რომელსაც ჩარიცხვის წელს ჩაბარებული აქვს შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილი ტესტი.
7. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომლისთვისაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, აპლიკანტის რეიტინგული ქულა დგინდება ჩარიცხვის წლის ტესტირების შედეგის საფუძველზე.
8. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 15. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

დ) თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას კოლეჯი ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება ამ წესის მე-14-ე მუხლით გათვალისწინებულ ეტაპამდე.

მუხლი 16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპიკანტები კოლეჯში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.

2. პირს, რომელსაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით გათვალისწინებულ ვადაში.

3. კოლეჯი განიხილავს შესაბამისი გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

4. ამოღებულია 2023 წლის 08.09 ბრძანება N

5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვით მიზნით, კოლეჯი დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

7. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპიკანტებისთვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით საფუძველზე განსაზღვრული შერჩევის პერიოდში.
8. 2023 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება წიმანდებარე წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში.
9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე.
10. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
11. 2023 წელს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც, იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა.
12. 2023 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მიზნით, მულტიდისციპლინური გუნდი, მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსით რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებას, ამ აპლიკანტის შეფასების დასკვნის მომზადებას და სარეგისტრაციო სისტემაში დასკვნის განთავსებას, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა ასევე მიეწოდება შეფასებულ პირს/მის კანონიერ წარმომადგენელს.

მუხლი 17. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში)

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, კოლეჯი ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში.
2. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კოლეჯი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, პროგრამაზე მისაღები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის განსაზღვრული ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.
3. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფომარციის მიწოდებას იმ აპლიკანტებითვის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 18. სასწავლო ხელშეკრულება

1. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას, კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვნობის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან იდება სასწავლო ხელშეკრულება.

2. წინამდებარე მუხლი 1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით.
2. აპლიკანტის ჩარიცხვასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.
3. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების განხორციელება შესაძლებელია კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.